

*დევნის სტატუსი პოლონეთში
თავშესაფრის მინიჭების პროცედურა
ნაბიჯ-ნაბიჯ*

- **დევნის სტატუსის მინიჭების შესახებ განაცხადის შეტანა**

როგორც წესი განაცხადის შეტანა ხდება სასაზღვრო სამსახურში საზღვრის გადაკვეთის დროს. კანონის მიხედვით შესალებელია განაცხადის შეტანა მოგვიანებითაც, თუმცა სხვა ქვეყნის მოქალაქე, რომელმაც შეიტანა განაცხადი პოლონეთის ტერიტორიაზე არალეგალური ყოფნის შემდგომ, შეიძლება იქნას დაკავებული სამართალდამცავების მიერ.

ყველა ზრდასრულ ადამიანს, ასევე ბავშვს, რომელიც მოგზაურობს მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლის მეურვეობის გარეშე შეუძლია შეიტანოს ინდივიდუალური განაცხადი. არასრულწლოვანი ბავშვების სახელით კი განაცხადი შეაქვთ მშობლებს. მარს შეუძლია შეიტანოს განაცხადი მეუღლის მაგივრად (ამისათვის ცოლმა უნდა მისცეს წერილობითი თანხმობა), ცოლს სურვილის შემთხვევაში შეუძლია ცალკე განაცხადის შეტანა.

განაცხადის შეტანასთან ერთად, უცხოელმა უნდა გადასცეს თავისი პასპორტი სასაზღვრო სამსახურს. სანაცვლოდ ის მიიღებს დროებით პირადობის დამადასტურებელ მოწმობას TZTC.

14 წელს ზემოთ მყოფ თითოეულ ადამიანს უღებენ თითის ანაბეჭდებს. შემდგომ ანაბეჭდები იგზავნება ევროპულ ბაზაში, რომლის მეშვეობითაც შეიძლება დადგენა თუ სად შეიტანა კონკრეტულმა უცხოელმა განაცხადი დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ.

ყველას, ვინც მიმართავს დევნილის სტატუსის მინიჭების თხოვნით უღებენ ფოტოს

- **სტატუსის გასაუბრება (ინტერვიუ)**

სტატუსის გასაუბრება ესაა გასაუბრება უცხოელთა სამმართველოს თანამშრომელთან, გასაუბრება მიზნად ისახავს კონკრეტული პიროვნების მიზეზების დადგენას სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. ინტერვიუ არის ძალიან მნიშვნელოვანი რადგან, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები მიიღებენ გადაწყვეტილებას, საჭიროებს თუ არა ეს კონკრეტული პიროვნება დაცვას, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რასაც მათ მიაწოდებს უცხოელი.

ინტერვიუზე მოწვევას აგზავნიან წერილობითი ფორმით მოწვევაში მითითებულია გასაუბრების თარიღი. თუ რაიმე მიზეზის გამო უცხოელს არ სეუძლია მივიდეს გასაუბრებაზე დანიშნულ დროს, იგი აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს სამმართველოს და განუმარტოს თუ რატომ არის მისთვის მოუხერხებელი აღნიშნული თარიღი და შეუთხმდეს ახალ თარიღზე.

უცხოელს შეუძლია გასაუბრებაზე გაიყოს წარმომადგენელი ასეთი ადამიანი ესწრება გასაუბრებას, ეცნობა საქმის მასალებს, იღებს კორესპოდენციას პროცედურასთან დაკავშირებით. იმისთვის რომ წარმომადგენელმა შეასრულოს თავისი ფუნქცია, უცხოელმა მას უნდა მისცეს მინდობილობა.

შეიძლება ითქვას, რომ გასაუბრება ეს ისეთი პროცედურაა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს პიროვნების მომავალ ცხოვრებაზე. ამიტომ მისთვის ღირს მომზადება. სტანდარტული შეკითხვები შეეხება, ქვეყნის დატოვების მიზეზებს, პოლოტიკურ საქმიანობას, დაპატიმრებებს, დაკავებებს, მებრძოლებთან კონტაქტს. სამმართველოს თანამშრომლები დასვავენ დეტალურ შეკითხვებს. საჭიროა წინასწარ დეტალების გახსენება: მაგალითად, როდის იყო დაკავებები და რამდენ ხანს გრძელდებოდა იგი, ღირს იმის გახსენება თუ, რა მოხდა წამოსვლამდე, ასევე თარიღები და ადგილები. საკუთარი სიტყვების დასადასტურებლად შეიძლება თან ნივთმტკიცებების გამოყენება. (სამედიცინო ექსპერტიზა, დაპატიმრების დასტური)

გასაუბრება ატარებს კონფიდენციალურ ხასიათს. უცხოელის მიერ გადმოცემული ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ იმის დასადგენად, საჭიროებს თუ არა აღნიშნული პიროვნება საერთაშორისო დაცვას. ინფორმაცია არ გადაეცემა არც სხვა დაწესებულებებს და არც ხელისუფლების ორგანიებს (პოლონეთში და საზღვარგარეთ), თუ ისინი უშუალოდ არ მონაწილეობენ სტატუსის მინიჭების შესახებ განაცხადის განხილვაში.

გასაუბრება მიმდინარეობს კონკრეტული უცხოელის ენაზე და იწერება პოლონურად. ჩანაწერი უნდა იქნას წაკითხული უცხოელის მიერ. ცხოელი იღებს გასაუბრების ჩანაწერის ასლს.

- **მოწვევა, რომელიც შეეხება საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობას, შეგროვებული მტკიცებულებების თაობაზე.**

მსგავსი მოწვევის არსებობა ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში იქნება გადაწყვეტილება მიღებული. მაშინ შესაძლებელი იქნება ახალი მტკიცებულებების წარდგენა და საკუთარი საქმის მასალების გაცნობა (ეს შეიძლება გააკეთოს წარმომადგენელმა)

- **გადაწყვეტილება სტატუსის შესახებ 1 ინსტანცია**

სამმართველოს გადაწყვეტილება, უცხოელის საქმესთან დაკავშირებით, უნდა იქნას მიღებული განაცხადის შეტანიდან მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში. თუ ეს ვადა არ იქნება დაცული, სამმართველო ვალდებულია დანიშნოს განაცხადის განხილვის ახალი ვადა. სამმართველომ შეიძლება მიიღოს 4 ტიპის გადაწყვეტილება: 1) სტატუსის მინიჭება 2) დამატებითი დაცვის მინიჭება 3) დამატებითი დარჩენის უფლების მინიჭება „pobyt tolerowany 4) გადაწყვეტილება პოლონეთის ტერიტორიიდან დეპორტაციის შესახებ.

ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უნდა მიეწოდოს უცხოელს წერილობითი ფორმით მისთვის გასაგებ ენაზე. ამავე დროს უცხოელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადების და შესაძლებლობების შესახებ.

სამმართველოს შეუძლია შეწყვიტოს საქმის წარმოება მაგალითად იმ შემთხვევაში თუ უცხოელი აკეთებს მორიგ განაცხადს სტატუსის მინიჭების შესახებ.

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება პირველ ინსტანციაში.**

პოლონეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს 1 ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრებას, უცხოელის მიერ გადაწყვეტილების წერილობითი ფორმით მიღებიდან 14 დღის ვადაში. (თუ უცხოელს ჰყავს წარმომადგენელი, ამ შემთხვევაში დროის ათვლა იწყება მის მიერ გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან). მეორე ინსტანციის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერებულია პირველი ინსტანციის

გადაწყვეტილების აღსრულება. (დევნილი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება დეპორტირების შესახებ, შეუძლია არ გაემგზავროს, მანამ სანამ არ იქნება მიღებული მეორე ინსტანციის გადაწყვეტილება) გასაჩივრების ჩაბარების ვადა განისაზღვრება 5 დღის ვადით, იმ შემთხვევაში თუ განაცხადი მიხნეულია დაუსაბუთებლად.

მნიშვნელოვანია, რომ გასაჩივრება იყოს გაგზავნილი დაზღვეული წერილით ან პირადად იქნას მიტანილი, რათა სახეზე იყოს განაცხადის ჩაბარების მტკიცებულება.

- **მეორე ინსტანციის გადაწყვეტილება**

მეორე ინსტანციის გადაწყვეტილებას, დევნილის სტატუსის მინიჭების საკითხებთან დაკავშირებით იღებს დევნილთა საბჭო. გადაწყვეტილების მიღება როგორც წესი გრძელდება დაახლოებით 1-2 თვე. საბჭოს შეუძლია ძალაში დატოვოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, გადასცეს საქმე ხელახალი განხილვისთვის ან მიიროს საკუთარი გადაწყვეტილება: მიანიჭოს დევნილის სტატუსი ან დამატებითი დაცვა. საბჭოს შეუძლია გამოიძახოს უცხოელი განმეორებით გასაუბრებაზე.

უცხოელი რომელიც არ არის კმაყოფილი 2 ინსტანციის გადაწყვეტილებით, უფლება ენიჭება გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება რაიონულ სასამართლოში. საჩივრის შეტანა შესაძლებელია საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. ადმინისტრაციული წარმოება მთავრდება საბჭოს გადაწყვეტილების მიღებით. უცხოელს ეძლება უფლება, მიმართოს სხვა სამართლებრივ ზომებს, თუმცა ამ დროს იგი უკვე კარგავს სოციალურ პრივილეგიებს. (ცხოვრება უცხოელთათვის განკუთვნილ ცენტრებში)

- **ვოევუდის სასამართლოს დადგენილება**

სასამართლოს შეუძლია გადადოს ან დატოვოს ძალაში დევნილთა საბჭოს გადაწყვეტილება. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ პროცედურა მიდიოდა არასწორად, ამ შემთხვევაში დააბრუნებს საქმეს გადასახედად. სასამართლოს არ შეუძლია სტატუსის ან დაცვის სხვა ფორმების მინიჭება. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს 6 თვის განმავლობაში.

- **საჩივარი უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში.**

ვოევუდის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან 30 დღის განმავლობაში უცხოელს აქვს უფლება ადვოკატის ან იურისტკონსულტანტის (აუცილებელია) დახმარებით შეიტანოს საჩივარი უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები არ არიან იურისტები და ამიტომ არ შეუძლიათ წარმოადგინონ უცხოელი ამ სასამართლოს წინაშე.

როგორც წესი, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს 12 თვეში. მის შემდგომ უცხოელს არ გააჩნია გასაჩივრების ან საჩივრის შეტანის სხვა საშუალება.

*შეიმუშავეს: აგატა ფორისი, ჰელსინკის ადამიანის უფლებათა ფონდი.
აგნეშკა კოსოვიჩ პოლონეთის მიგრაციის ფორუმი.*

მომზადებულია „დევნილთა მცირე სოციუმში ინტეგრაციის“ პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია სამოქალაქო ინიციატივების ფონდის მიერ.